



European Union



The GEF
Small Grants
Programme



Empowered lives.
Resilient nations.

სატყეო მიწების მმართველობის
გაუმჯობესება საქართველოს მდგრადი
განვითარების ხელშეწყობისათვის

ტყის ზონირება, როგორც ტყის მდგრადი მართვისა და
მდგრადი მინათსარგებლობის ინსტრუმენტი
სატყეო მიწების კლასიფიკაცია

*ირაკლი მაჭარაშვილი
მწვანე ალტერნატივა
14.07.2015*



www.greenalt.org

ტყის ფონდისა და სატყეო მიწების სტრატეგიული ზონირება/კლასიფიკაცია

- ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების საფუძველი

პრობლემის არსი:

- ეკოსისტემური მართვის პრინციპებზე აგებული ტყის ზონირების (კლასიფიკაციის) სისტემის არარსებობა

რას იწვევს თანამედროვე კლასიფიკაციის არარსებობა?

- ტყის ფასეულობების არასათანადო გათვალისწინება დაგეგმვისა და გადანაცვლებების მიღების პროცესში
- ხელს უშლის ქვეყნის მდგრად განვითარებას
- წარმოშობს კონფლიქტს განვითარების/ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და გარემოსდაცვით ინტერესებს შორის
- ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის ჰარმონიული განვითარება ფერხდება
- ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების შეუქცევადი დეგრადაცია

შესაბამისობა სახელმწიფო პრიორიტეტებთან

- საქართველოს ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების ეკონომიკური შეფასება, წინასწარი კვლევა (*TEEB Scoping Study for Georgia: Main Findings and Way-forward, 2013*). [სამინისტროს/მთავრობის საქმიანობის ორწლიანი ანგარიში](#)
- საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია ([პარლამენტის დადგენილება N1742-III11.12.2013](#));
- 2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა 2014-2020 - ([მთავრობის დადგენილება N343, 08.05.2014](#));
- „საქართველოს სივრცითი მონაცემების გენერალური სქემის „საქართველო 2030“ შემუშავების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ ([მთავრობის დადგენილება №89 09.03.2015](#))

ნაშრომების არასრული ჩამონათვალი

- Identification of High Conservation Values in Southwest Georgia and Northeast Turkey: Example of Transboundary Colchic Forest Landscapes, 2005,(WWF Caucasus PO)
- საქართველოს ტყის ფონდში სარეზერვო დაცული ტერიტორიების გამოყოფის შესახებ, 2006, WWF Caucasus PO (ბ. ზაზანაშვილი, ა. მიქაბერიძე, ლ. ჭოჭუა)
- რეკომენდაციები საქართველოს ტყეების ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით ზონირებისა და ტყის ეკოსისტემების მდგრადი და ინტეგრირებული მართვის მეთოდებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ (2010), ბ. ლობჯანიძე. WWF Caucasus PO
- ტყის მდგრადი მართვის საქართველოს ეროვნული სტანდარტი, სატყეო სამეურვეო საბჭოს (FSC) საფუძველზე (2010), WWF Caucasus PO, FSC
- Ecoregion Conservation Plan for the Caucasus (2012)
- ტყის ზონირების დირექტივა, CENN, სატყეო პოლიტიკის სამსახური 2015
- ეროვნული პრინციპები, კრიტერიუმები და ინდიკატორები საქართველოში ტყის მდგრადი მართვისთვის (2014) ლ. ფეზერი, საქართველოს ეროვნული სატყეო პროგრამა (NFP)
- კანონპროექტი „გარემოზე ზემოქმედების შესახებ“, 2015 გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

ტყის ფონდისა და სატყეო მიწების კატეგორიებად და ფუნქციური დანიშნულებით დაყოფის საკითხები

საქართველოს ტყის კოდექსი (1999)
საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N132 დადგენილება „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ (ვერძოდ, 8.12.2010 N376 დადგენილებით შეტანილი ცვლილებები და დამატებები);
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 ივლისის №179 დადგენილება „ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“
საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილება „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის №161 ბრძანება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ფონდის მწვანე ზონის და საკურორტო ზონის ტერიტორიების ნუსხისა და მასზე მიკუთვნილებული კვარტლების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“

ტყის ფონდის დაგეგმარება

- ტყის მდგრადი მართვის საფუძველი
- სამი აუცილებელ საფეხური:
 1. ტყისა და სატყეო მიწების კლასიფიკაცია (სტრატეგიული ზონირების გეგმა);
 2. ტყის ტერიტორიის მართვის გეგმა;
 3. წლიური სამოქმედო (საოპერაციო) გეგმა.
- ტყის ფონდის დაგეგმარების სამი საფეხური თანამიმდევრულად უნდა განხორციელდეს
- სტრატეგიული ზონირების გეგმას ადგენს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
- ტყის მართვის გეგმას და წლიურ სამოქმედო/საოპერაციო გეგმას ადგენს ტყითმოსარგებლე

სატყეო მიწების ზონირების (კლასიფიკაციის) ამოცანები

- ტყეების ბიომრავალფეროვნებისა დაცვა
- ტყეების ეკოლოგიური ფასეულობების შენარჩუნება და მდგრადი გამოყენება;
- ტყეების მარეგულირებელი ფუნქციების (საშიში ეკოლოგიური პროცესების პრევენცია, ნიადაგის დაცვა, კლიმატის და წყლის რეჟიმის რეგულაცია, ჰაერის და წყლის ხარისხის კონტროლი და სხვ.) დაცვა, აღდგენის ხელშეწყობა და გაძლიერება;
- ტყეების ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება, გრძელვადიანი სარგებლის მიღების გათვალისწინებით;
- ტყეების სოციალური ფუნქციების დაცვა, აღდგენა და მდგრადი გამოყენების ხელშეწყობა;
- ტყესთან დაკავშირებული ეკონომიკის (სოფლის მეურნეობა, ენერჯეტიკა და სხვ.) სხვადასხვა სექტორის ჰარმონიული, მდგრადი განვითარების ხელშეწყობა;
- ტყეების ისტორიული, კულტურული და ტრადიციული სულიერი ღირებულებების გათვალისწინება და დაცვა.

კლასიფიკაციის და მართვის პრინციპები - 12 პრინციპი

1. კლასიფიკაციას ექვემდებარება ქვეყნის მთლიანი ტყის ფონდი, მიუხედავად მფლობელობისა
2. მართვის შესაძლო რეჟიმების განსაზღვრა ეკოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური ფუნქციების გათვალისწინებით.
3. ყველა ტყეს უნდა ქონდეს განსაზღვრული ერთზე მეტი ფუნქცია.
4. ტყის ერთი ფუნქციის გამოყენებამ არ უნდა გამოიწვიოს სხვა ღირებულებების შეუქცევადი დეგრადაცია და/ან განადგურება.
5. გადანყვეტილება მიღება გამჭვირვალედ და საზოგადოების აქტიური მონაწილეობით
6. შესაბამისობა არსებულ რეალობასთან და ისტორიულ ტრადიციებთან, ყველა დაინტერესებული მხარის უფლებების გათვალისწინება.

კლასიფიკაციის და მართვის პრინციპები -12 პრინციპი

7. ტყეების ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინება
8. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზეგავლენის გათვალისწინება
9. ბუნებრივი საზღვრების (ქედები, მდინარეები) გათვალისწინება
10. სააუზო მართვის პრინციპების გათვალისწინება
11. ტყის მდგრადი მართვისა და გარემოს (ბიომრავალფეროვნების) დაცვის ეროვნულ მიზნებს და ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებთან შესაბამისობა.
12. ინფორმაცია კლასიფიკაციის შესახებ უნდა იყოს საჯარო და ადვილად ხელმისაწვდომი თვართო საზოგადოებისათვის (დაეჭვმდებაროს პროაქტიულ გამოქვეყნებას).

კლასიფიკაციის საფუძველი - „ევროპის ტყეების“ (MCPFE) კლასიფიკაცია


MCPFE-ის კლასები		EEA	IUCN
I კლასი: ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია აქტიური ჩარევის გარეშე	აქტიური ჩარევის გარეშე	A	I
	მინიმალური ჩარევა	A	II
	კონსერვაცია აქტიური ჩარევის გზით	A	IV
კლასი 2: ლანდშაფტებისა და ბუნების კონკრეტული ელემენტების დაცვა		B	III, V, VI
კლასი 3: დაცვითი ფუნქციების შენარჩუნება		(B)	

ჩვენი შეთავაზება საქართველოს ტყეების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით:

ტყისა და სატყეო მიწების დაყოფა 4 ნაწილად

1. დაცული და კონსერვაციული დანიშნულების ტყეები - შეესაბამება MCPFE I კლასს (IUCN I, II, IV)
2. დაცვითი დანიშნულების ტყეები - შეესაბამება MCPFE 2 კლასს
3. სოციალური, კულტურული და რეკრეაციული დანიშნულების ტყეები - შეესაბამება MCPFE 2 კლასს (IUCN III, V, VI)
4. სამეურნეო (ან საექსპლუატაციო) დანიშნულების ტყეები - შეესაბამება MCPFE 3 კლასს

დაცული და კონსერვაციული დანიშნულების ტყეები



- ნაკრძალების, ეროვნული პარკების, ბუნების ძეგლების, აღკვეთილები ს- ტყეები
- სუბალპური და ჭალის ტყეები
- WWF (2006)-ის მომზადებული დოკუმენტით განსაზღვრული სატყეო კვერტლები

დაცვითი ტყეები

- თოვლის ზვავებისა და ღვარცოფების მუდმივი კალაპოტების გასწვრივ 200 მეტრამდე სიგანის ტყის ზოლები;
- 35°-ზე მეტი დაქანების ფერდობებზე მდებარე ტყის უბნები;
- რკინიგზებისა და საავტომობილო გზების გასწვრივ (მათი მიწის ვაკისიდან) 100 მეტრამდე სიგანის ტყის ზოლები;
- საბაგირო გზებისა და სათხილამურო ტრასების გარშემო არსებული დამცავი ტყის ზოლები;
- მდინარეების, ტბების, წყალსაცავებისა და წყლის არხების გასწვრივ ნაპირიდან 300 მეტრამდე სიგანის ტყის უბნები;

საფუძველი: საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილება

სოციალური, კულტურული და რეკრეაციული დანიშნულების ტყეები

- მწვანე ზონისა და საკურორტო ზონის ტერიტორიები (დასასვენებელი სახლების, პანსიონატებისა და სამკურნალო დაწესებულებების, მინერალური წყაროების ირგვლივ 1 კმ რადიუსში არსებული ტყის უბნები. მანძილი იზღუდება წყალგამყოფით)
- ყოფილი საკოლმეურნეო ტყეები (530 000 ჰა)
- მიჩენილი ტყეები (1800 ჰა)

საფუძველი:

მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილება;

ვარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის №161 ბრძანება

მართვის შესაძლო ფორმები

ტყისა და სატყეო მიწების ფუნქციების მიხედვით	მართვის შესაძლო ფორმა
A. დაცული და კონსერვაციული ტყეები: 1, 2	დაცული ტერიტორიების სააგენტო, ზურმუხტოვანი ქსელი
A. დაცვითი ტყეები - 3, 4 რომლებიც არ მოხვდა A-ში	ზურმუხტოვანი ქსელი, სატყეო სააგენტო, ლიცენზიანტები
A. სოციალური, კულტურული და რეკრეაციული დანიშნულების ტყეები - 4, IUCN-ის V და VI კატეგორია	ადგილობრივი თვითმმართველობა, საპატრიარქო, სატყეო სააგენტო, ზურმუხტოვანი ქსელი
A. სამეურნეო ტყეები - ყველა სხვა ტყე, რომლებიც არ მოხვდა A, B და C კატეგორიაში	სატყეო სააგენტო

ტყითსარგებლობის სტანდარტები

- ბუნებასთან ახლოს - პრინციპი:** ტყეების ექსპლუატაციის, სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელების შედეგად არ უნდა მოხდეს ბუნებრივი ტყის (თანასაზოგადოებების ძირეული ცვლილება)
- საკმარისობის (შესაბამისობის) პრინციპი:** ტყეებიდან მიღებული პროდუქცია არ უნდა აღემატებოდეს ტყის ბუნებრივ პროდუქტიულობას/განახლებას
- სიფრთხილის პრინციპი:** ტყითსარგებლობის ფორმის და ღონისძიებების შერჩევას არჩევანი უნდა გაკეთდეს იმ ქმედებებზე, რომლებსაც მინიმალური ზეგავლენა აქვთ ტყესა და გარემოზე
- მონაწილეობის პრინციპი:** ყველა ქმედების შესახებ გადწყვეტილების მიღებისა და განხორციელებაში აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული შესაბამისი ექსპერტები და ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლები
- გამჭვირვალობის პრინციპი:** ტყის სექტორთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედების დაგეგმვასთან, განხორციელებასთან, ადმინისტრირებასთან და მართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული საზოგადოებისთვის.
- მრავალფუნქციურობის პრინციპი:** მდგრადი ტყის მართვა უნდა მოიცავდეს ტყეების ეკოლოგიურ, სოციალურ, ეკონომიკურ და სხვა ფუნქციებს.



დიდი მადლობა ყურადღებისათვის